## რეგისტრაცია

ელექტრონული სწავლების გვერდზე რეგისტრაციისთვის საჭიროა დაკლიკოთ „ახალი მომხმარებლის შექმნა“-ს




შეავსეთ ყველა ველი.

გაითვალისწინეთ!

- მომხმარებლის სახელი უნდა ჩაწეროთ მხოლოდ ლათინური პატარა ასოებით;
- პაროლი უნდა შეიცავდეს 6 სიმბოლოზე მეტს,სადაც ერთი მაინც იქნება სასვენი ნიშანი/ციფრი;
- ელ.ფოსტის მისამართი ჩაწერეთ სრულად. მაგალითად testuser@mofacademy.ge.




ანკეტის შევსების შემდეგ დააწკაპუნეთ ღილაკს „შექმენი ჩემი ახალი ანგარიში“.

მეილზე , რომელიც მიუთითეთ ანკეტაში ( ჩვენს შემთხვევაში testuser@mofacademy.ge ) მოგივათ შეტყობინება. შეტყობინება შეიცავს ბმულს (ლინკს) დააწკაპუნეთ ლინკზე და გადახვალთ მუდლის გვერდზე. ანგარიში გააქტიურებული იქნება .

## კურსებზე რეგისტრაცია

კურსების ჩამონათვალში აირჩიეთ თქვენთვის საჭირო კურსი. დააწკაპუნეთ კურსის სახელს. თუ კურსზე გასაწევრიანებლად საჭიროა კოდის (გაწევრიანების გასაღები) , გასაწევრიანებელი სიტყვა უნდა მოგაწოდოთ კურსის ლექტორმა.
ჩაწერეთ სიტყვა შესაბამის უჯრაში და დააწკაპუნეთ „გამაწევრიანე”-ს.

### გაწევრიანების ოფციები

#### საჯარო სამსახურში საქმიანობის ძირითადი პრინციპები



მასწავლებელი: Tamar Berianidze
მასწავლებელი: Vaiko Mae
მასწავლებელი: Tamar Pirtakhia
მასწავლებელი: Giorgi Razmadze
მასწავლებელი: Davit Tsibadze

Self enrolment (სტუდენტი)

**გაწევრიანების გასაღები**

☐ დამანახე

გამაწევრიანე

## პაროლის აღდგენა

თუ საიტზე დარეგისტრირებული ხართ და პაროლი დაგავიწყდათ დააწკაპუნეთ ღილაკს „პაროლი დაგავიწყდათ?“




გამოვა ფანჯარა:
**პაროლის შესაცვლელად შეიყვანეთ თქვენი მომხმარებლის სახელი ან იმეილი. თუ ჩვენს მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული ხართ, მალე მიიღებთ იმეილს ინსტრუქციებით.**
აღნიშნულ ფანჯარაში მოცემულია ორი ვარიანტი „მოძებნე მომხმარებლის სახელით“ და „მოძებნე იმეილი“ . ავსებთ ერთ - ერთს ანუ თუ ჩაწერეთ მომხმარებლის სახელს, მეილი აღარ უნდა ჩაწეროთ, ხოლო თუ ჩაწერთ მეილის მისამართ სახელი აღარ უნდა ჩაწეროთ. ( შენიშვნა: აუცილებლად ის მეილი უნდა ჩაწეროთ , რომელიც რეგისტრაციისას გამოიყენეთ. ჩვენს შემთხვევაში testuser@e.mofacademy.ge) . შედით მეილზე და მოგივათ შეტყობინება, სადაც მითითებული იქნება მომხმარებლის სახელი და პაროლი.
P.S გამოგზავნილი წერილი შეიძლება აღმოჩნდეს სპამებში,ამიტომ გადაამოწმეთ „სპამები“.




## პარამეტრების ცვლილება (პაროლის შეცვლა)

საკუთარი პროფილის პარამეტრების ნახვა შეგიძლიათ ავტორიზაციის გავლის შემდეგ ნებისმიერ გვერდზე,  საიტის ჰედერში,მარჯვენა მხარეს.




მასზე დაწკაპუნებით იხილავთ მენიუებს „ პროფილის რედაქტირება“ და „შეცვალე პაროლი“.



## ანგარიშიდან გამოსვლა

ანგარიშიდან გამოსასვლელად დააწკაპუნეთ თქვენს სახელსა და გვარზე, მარჯვენა ზედა კუთხეში. შემდეგ ამოირჩიეთ „გასვლა“,




ხოლო შემდეგ ღილაკზე „გააგრძელე“.




P.S ნუ დატოვებთ თქვენს ანგარიშს გახსნილს უცხო კომპიუტერებში.